



2023

შპს „ჯიარჯი“-ს

კონსოლიდირებული ფინანსური და მმართველობის ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა.....3-6

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება.....7

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება8

კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება9

ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება.....10

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები

1. ჯგუფი და მისი საქმიანობა.....	11
2. მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები.....	11
4. წინა პერიოდის შეცდომის გასწორება და რეკლასიფიკაცია.....	23
5. ახალი და განახლებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები	24
6. ძირითადი საშუალებები	26
7. არამატერიალური აქტივები	27
8. მარაგები.....	27
9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	27
10. ფული და ფულის ეკვივალენტები	27
11. მოგების გადასახადის ხარჯი	28
12. მიღებული სესხები	28
14. სავაჭრო და სხვა გადასახდელები	29
15. ამონაგები	30
16. რეალიზაციის თვითღირებულება	30
17. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები.....	30
18. ფინანსური ხარჯი.....	31
19. ზარალი/(მოგება) კურსთაშორისი სხვაობიდან	31
20. არასაოპერაციო ხარჯი	31
21. არასაოპერაციო შემოსავალი.....	32
22. ფინანსური და სხვა რისკების მართვა	32
23. პირობითი ვალდებულებები	35
24. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან.....	36
25. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები	36

მმართველობის ანგარიშგება37

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ჯიარჯი“-ს მფლობელებსა და ხელმძღვანელობას

დასკვნა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ჯიარჯის“ (შემდგომში „ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, ასევე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის ნაწილში - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“, აღწერილი საკითხების გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრისთვის, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი ნაკადებს მოცემული თარიღით დასრულებული წლისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სასაქონლო მატერიალური მარაგები წარმოდგენილია 2,391,554 ლარით, ამ მარაგებიდან 399,586 ლარის მარაგი მდებარეობს კობში, რომლის ინვენტარიზაციაც საანგარიშგებო პერიოდთან მიახლოებულ თარიღში არ ჩატარებული მეტეოროლოგიური გარემო პირობების გათვალისწინებით. ჩვენ ალტერნატიული გზებითაც ვერ მოვახერხეთ ზემოხსენებულ ლოკაციაზე გათავსებული მარაგების არსებობის და სისრულის შესახებ აუდიტორული მტკიცებულების მოპოვება. ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო, ვერ განვსაზღვრეთ აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგებაში აღრიცხული თუ აღურიცხავი მარაგების 399,586 ნაწილზე, ასევე სრული შემოსავლისა, საკუთარი კაპიტალის ცვლილების და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგების შესაბამის ელემენტებში 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის, ვინაიდან მარაგების ნაშთი მონაწილეობს ფინანსური შედეგებისა და ფულადი ნაკადების განსაზღვრაში.

ჩვენ არ დავნიშნულვართ ჯგუფის აუდიტორებად 2022 წლის 31 დეკემბრამდე, შესაბამისად ჩვენ ვერ დავაკვირდით კომპანიის მარაგების სრულ ინვენტარიზაციას 2022 წლის საანგარიშგებო წლის დასაწყისში, მარაგების ინვენტარიზაციას ვერ დააკვირდა ვერც წინამორბედი აუდიტორი. ჩვენ ალტერნატიული გზებითაც ვერ მოვახერხეთ მოგვეპოვებინა საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული მარაგების არსებობასა, სისრულესა და მდგომარეობის შესახებ, რაც გავლენას ახდენს 2023 წლის ოპერაციების ფინანსური შედეგებისა და ფულადი ნაკადების განსაზღვრაზე. აღნიშნული მარაგები მონაწილეობენ 2023 წლის რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების ფორმირებაში. შესაბამისად, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებაში, ასევე სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილების კონსოლიდირებული ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგების შემადგენელ შესაბამის ელემენტებში 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ ნაწილში.

ჩვენ დამოუკიდებლობის ვართ ჯგუფისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებითა და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია - ჯგუფის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ჯგუფის კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებას 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, მაგრამ არ მოიცავს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას. ჩვენი მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებას და ჩვენ არანარი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წამოვადგენთ მასზე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე გამოცემულ ჩვენს დასკვნაში.

ჩვენ მიერ ჩატარებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებასთან ან მარეგულირებელი ნორმატიული აქტების მოთხოვნებთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციიდან გამომდინარე.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობაა ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის გაცხადება. ამასთან დაკავშირებით არაფერი გვაქვს გასაცხადებელი.

აუდიტის სხვა გარემოებები

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის ჩატარდა სხვა აუდიტორის მიერ, რომელმაც გამოთქვა მოდიფიცირებული მოსაზრება ამ კონსოლიდირებულ ანგარიშგებაზე 2023 წლის 14 დეკემბერს. პირობითი მოსაზრების საფუძველს მარაგების ფაქტობრივ მდგომარეობას და რაოდენობაზე საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების ვერ მოპოვება იყო.

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ფარგლებში, ჩვენ ასევე ჩავატარეთ მე-4 შენიშვნაში წარმოდგენილი შესწორებების აუდიტიც, რომელიც ეხება 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას. ჩვენი აზრით, მსგავსი შესწორებები მიზანშეწონილი და სწორია. შესადარის ინფორმაციაზე ჩატარებული აუდიტორული პროცედურები შემოიფარგლება მხოლოდ აღნიშნული შესწორებებით. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებით.

ხელმძღვანელობის და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ჯგუფის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად ჯგუფის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები ზედამხედველობენ ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს.

უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან თანდართულ კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტის პროცესში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. გარდა ამისა, ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდებთ თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდებთ შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად ჯგუფის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული ანგარიში

ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებს:

- ▶ კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაში ასახული იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, შესაბამისობაშია კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- ▶ კონსოლიდირებული მმართველობით ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.

სოფიკო ლუდუშაური, გარიგების პარტნიორი (SARAS-A-835962)

შპს „კორა კონსალტინგი“ (SARAS-F-407186)

27 სექტემბერი, 2024 წელი

თბილისი, საქართველო

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული ანგარიში

ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებს:

- ▶ კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაში ასახული იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, შესაბამისობაშია კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- ▶ კონსოლიდირებული მმართველობით ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.

სოფიკო ღუდუშაური, გარიგების პარტნიორი (SARAS-A-835962)

შპს „კორა კონსალტინგი“ (SARAS-F-407186)

27 სექტემბერი, 2024 წელი

თბილისი, საქართველო

ს. ღუდუშაური

შპს „ჯიარჯი“

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022 (გადაანგარიშებული*)	1 იანვარი 2022 (გადაანგარიშებული*)
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	6	10,866,300	6,047,438	4,898,854
აქტივი გამოყენების უფლებით		-	35,728	280,494
არამატერიალური აქტივები	7	166,114	218,068	128,111
მთლიანი გრძელვადიანი აქტივები		11,032,414	6,301,234	5,307,459
მიმდინარე აქტივები				
მარაგები	8	2,391,554	2,053,340	1,703,261
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	5,560,934	3,137,543	2,294,476
ფული და ფულის ეკვივალენტები	10	720,481	2,519,738	245,709
საგადასახადო აქტივები, ნეტო		-	136,440	-
სულ მიმდინარე აქტივები		8,672,969	7,847,061	4,243,446
სულ აქტივები		19,705,383	14,148,295	9,550,905
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		426,641	281,150	15,230
გაუნაწილებელი მოგება		5,418,497	1,656,122	2,652,033
შმობელი საწარმოს მფლობელებზე მიკუთვნებადი კაპიტალი		5,592,391	1,715,685	2,667,263
არამაკონტროლებელი წილი		252,747	221,587	-
სულ კაპიტალი		5,845,138	1,937,272	2,667,263
გრძელვადიანი ვალდებულებები				
მიღებული სესხები	12	828,331	288,118	44,892
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		828,331	288,118	44,892
მიმდინარე ვალდებულებები				
მიღებული ავანსები	13	2,337,281	6,070,780	202,056
საიჯარო ვალდებულება		-	32,149	178,434
მიღებული სესხები	12	4,546,552	2,003,588	1,957,654
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		-	-	73,204
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14	5,610,387	3,816,388	4,103,216
საგადასახადო ვალდებულებები, ნეტო		537,694	-	324,186
სულ მიმდინარე ვალდებულებები		13,031,914	11,922,905	6,838,750
სულ ვალდებულებები		13,860,245	12,211,023	6,883,642
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		19,705,383	14,148,295	9,550,905

*ზოგიერთი ნაჩვენები თანხა არ შეესაბამება 2022 წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას და ასახულია კორექტირებების შემდეგ იხ. შენიშვნა 4.

გამოშვებულია დასამტკიცებლად 2024 წლის 27 სექტემბერი და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

გენერალური დირექტორი

ფინანსური მენეჯერი

11-36 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელი ნაწილია.

შპს „ჯიარჯი“

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

		31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022 (გადაანგარიშებული*)	1 იანვარი 2022 (გადაანგარიშებული*)
	შენიშვნა			
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	6	10,866,300	6,047,438	4,898,854
აქტივი გამოყენების უფლებით		-	35,728	280,494
არამატერიალური აქტივები	7	166,114	218,068	128,111
მთლიანი გრძელვადიანი აქტივები		11,032,414	6,301,234	5,307,459
მიმდინარე აქტივები				
მარაგები	8	2,391,554	2,053,340	1,703,261
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	5,560,934	3,137,543	2,294,476
ფული და ფულის ეკვივალენტები	10	720,481	2,519,738	245,709
საგადასახადო აქტივები, ნეტო		-	136,440	-
სულ მიმდინარე აქტივები		8,672,969	7,847,061	4,243,446
სულ აქტივები		19,705,383	14,148,295	9,550,905
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		426,641	281,150	15,230
გაუნაწილებელი მოგება		5,418,497	1,656,122	2,652,033
მშობელი საწარმოს მფლობელებზე მიკუთვნებადი კაპიტალი		5,592,391	1,715,685	2,667,263
არამაკონტროლებელი წილი		252,747	221,587	-
სულ კაპიტალი		5,845,138	1,937,272	2,667,263
გრძელვადიანი ვალდებულებები				
მიღებული სესხები	12	828,331	288,118	44,892
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		828,331	288,118	44,892
მიმდინარე ვალდებულებები				
მიღებული ავანსები	13	2,337,281	6,070,780	202,056
საიჯარო ვალდებულება		-	32,149	178,434
მიღებული სესხები	12	4,546,552	2,003,588	1,957,654
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		-	-	73,204
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14	5,610,387	3,816,388	4,103,216
საგადასახადო ვალდებულებები, ნეტო		537,694	-	324,186
სულ მიმდინარე ვალდებულებები		13,031,914	11,922,905	6,838,750
სულ ვალდებულებები		13,860,245	12,211,023	6,883,642
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		19,705,383	14,148,295	9,550,905

*ზოგიერთი ნაჩვენები თანხა არ შეესაბამება 2022 წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას და ასახულია კორექტირებების შემდეგ იხ. შენიშვნა 4.



გამომცემულია დასაბუთებით 2024 წლის 27 სექტემბერი და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

გენერალური დირექტორი

(Handwritten signature)
ფინანსური მენეჯერი

11-36 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელი ნაწილია.

შპს „ჯიარჯი“

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2023	2022 (გადაანგარიშებული*)
ამონაგები	15	41,769,778	25,057,503
რეალიზაციის თვითღირებულება	16	(32,970,667)	(21,757,868)
საერთო მოგება		8,799,111	3,299,635
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	17	(2,738,779)	(2,028,498)
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	9	(30,033)	(205,821)
სხვა საოპერაციო ხარჯი		-	(93,667)
საოპერაციო მოგება		6,030,299	971,649
ფინანსური ხარჯი	18	(574,820)	(612,480)
ფინანსური შემოსავალი		120,353	-
ზარალი/(მოგება) საკურსო სხვაობიდან	19	(234,235)	6,636
არასაოპერაციო ხარჯი	20	(146,562)	(165,335)
არასაოპერაციო შემოსავალი	21	432,050	232,359
მოგება დაბეგვრამდე		5,627,085	432,829
მოგების გადასახადის ხარჯი	11	(280,677)	(214,398)
წლის წმინდა მოგება		5,346,408	218,431
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		5,346,408	218,431
მიკუთვნებული:			
შშობელი საწარმოს მფლობელებზე		5,460,739	262,764
არამაკონტროლებელ წილზე		(114,331)	(44,333)

*ზოგიერთი ნაჩვენები თანხა არ შეესაბამება 2022 წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას და ასახულია კორექტირებების შემდეგ იხ. შენიშვნა 4.

გამოშვებულია დასამტკიცებლად 2024 წლის 27 სექტემბერი და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

გენერალური დირექტორი

ფინანსური მენეჯერი

11-36 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელი ნაწილია.

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

*ზოგიერთი ნაჩვენები თანხა არ შეესაბამება 2022 წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას და ასახულია კორექტირებების შემდეგ იხ. შენიშვნა 4.

გენერალური დირექტორი

ფინანსური მენეჯერი

8

შპს „ჯიარჯი“

კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ	არმაკონტროლებელი წილი	სულ კაპიტალი
31 დეკემბერი 2021 (გადაანგარიშებული*)		15,230	2,652,033	2,667,263	-	2,667,263
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		-	262,764	262,764	(44,333)	218,431
საწესდებო კაპიტალის ზრდა		-	-	-	265,920	265,920
გამოცხადებული დივიდენდები	11	-	(1,214,342)	(1,214,342)	-	(1,214,342)
31 დეკემბერი 2022 (გადაანგარიშებული*)		15,230	1,700,455	1,715,685	221,587	1,937,272
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		-	5,460,739	5,460,739	(114,331)	5,346,408
საწესდებო კაპიტალის ზრდა		-	-	-	145,491	145,491
გამოცხადებული დივიდენდები	11	-	(1,584,033)	(1,584,033)	-	(1,584,033)
31 დეკემბერი 2023		15,230	5,577,161	5,592,391	252,747	5,845,138

*ზოგიერთი ნაჩვენები თანხა არ შეესაბამება 2022 წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას და ასახულია კორექტირებების შემდეგ იხ. შენიშვნა 4.

გამოშვებულია დასამტკიცებლად 2024 წლის 27 სექტემბერი და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

გენერალური დირექტორი

ფინანსური მენეჯერი

11-36 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელი ნაწილია.

შპს „ჯიარჯი“

კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(*ქართულ ლარში*)

	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ	არმაკონტროლებელი	
					წილი	სულ კაპიტალი
31 დეკემბერი 2021 (გადაანგარიშებული*)		15,230	2,652,033	2,667,263	-	2,667,263
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		-	262,764	262,764	(44,333)	218,431
საწესდებო კაპიტალის ზრდა		-	-	-	265,920	265,920
გამოცხადებული დივიდენდები	11	-	(1,214,342)	(1,214,342)	-	(1,214,342)
31 დეკემბერი 2022 (გადაანგარიშებული*)		15,230	1,700,455	1,715,685	221,587	1,937,272
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		-	5,460,739	5,460,739	(114,331)	5,346,408
საწესდებო კაპიტალის ზრდა		-	-	-	145,491	145,491
გამოცხადებული დივიდენდები	11	-	(1,584,033)	(1,584,033)	-	(1,584,033)
31 დეკემბერი 2023		15,230	5,577,161	5,592,391	252,747	5,845,138

*ზოგიერთი ნაჩვენები თანხა არ შეესაბამება 2022 წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას და ასახულია კორექტირების შემდეგ იხ. შენიშვნა 4.

გამოშვებულია დასამტკიცებლად 2024 წლის 27 სექტემბერი და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:



[Handwritten signature]

ფინანსური მენეჯერი

11-36 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „ჯიარჯი“

ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2023	2022 (გადაანგარიშებული*)
საოპერაციო საქმიანობა			
მოგება დაბეგვრამდე		5,627,085	432,829
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია	7; 17	664,431	548,825
საექვო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვის ხარჯი	9	30,032	205,822
ფინანსური ხარჯი	18	574,580	612,480
ზარალი/(მოგება) კურსთაშორის სხვაობიდან, წმინდა	19	234,235	(6,636)
ზარალი ძირითადი საშუალების გასვლისას		(19,231)	67,258
ფულადი ნაკადები მიღებული საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავ კაპიტალში ცვლილებებამდე:		7,111,132	1,860,578
შემცირება/(ზრდა) მიღებულ ავანსებში		(3,733,499)	5,868,724
შემცირება/(ზრდა) საგადასახადო აქტივში		136,440	(136,440)
ზრდა სავაჭრო მოთხოვნებში		(2,448,298)	(1,048,889)
ზრდა მარაგებში		(338,214)	(350,079)
ზრდა/(შემცირება) სავაჭრო ვალდებულებებში		1,525,978	(744,744)
ზრდა/(შემცირება) საგადასახადო ვალდებულებებში		458,492	(384,903)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები პროცენტამდე და მოგების გადასახადამდე:		2,712,031	5,064,247
გადახდილი მოგების გადასახადი		(280,677)	(214,398)
გადახდილი პროცენტები		(369,079)	(217,327)
წმინდა ფულადი ნაკადები მიღებული საოპერაციო საქმიანობიდან		2,062,275	4,632,522
საინვესტიციო საქმიანობა			
ძირითადი საშუალების შეძენა	6	(5,474,961)	(1,436,771)
ძირითადი საშუალების გაყიდვა	6	62,853	-
ზრდა არამატერიალურ აქტივებში	7	-	(119,239)
ფულადი ნაკადები გამოყენებული საინვესტიციო საქმიანობაში		(5,412,108)	(1,556,010)
საფინანსო საქმიანობა			
სესხის აღება	12	9,297,142	2,498,740
სესხის დაფარვა	12	(6,357,278)	(2,163,799)
სალიზინგო ვალდებულების დაფარვა		-	(233,309)
ზრდა საწესდებო კაპიტალში		145,491	265,920
გადახდილი დივიდენდები		(1,504,831)	(1,153,625)
წმინდა ფულადი ნაკადები გამოყენებული საფინანსო საქმიანობაში		1,580,524	(786,073)
ფულის და ფულის ეკვივალენტების (შემცირება)/ზრდა		(1,769,309)	2,290,439
გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი ფულის ნაშთზე	19	(29,948)	(16,410)
ფული და ფული ეკვივალენტები წლის დასაწყისში	10	2,519,738	245,709
ფული და ფული ეკვივალენტები წლის ბოლოს		720,481	2,519,738

*ზოგიერთი ნაჩვენები თანხა არ შეესაბამება 2022 წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას და ასახულია კორექტირებების შემდეგ იხ. შენიშვნა 4.

გამოშვებულია დასამტკიცებლად 2024 წლის 27 სექტემბერი და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

გენერალური დირექტორი

ფინანსური მენეჯერი

11-36 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელი ნაწილია.

შპს „ჯიარჯი“

ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2023	2022 (გადაანგარიშებული*)
საოპერაციო საქმიანობა			
მოგება დაბეგვრამდე		5,627,085	432,829
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია	7; 17	664,431	548,825
საექვო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვის ხარჯი	9	30,032	205,822
ფინანსური ხარჯი	18	574,580	612,480
ზარალი/(მოგება) კურსთაშორის სხვაობიდან, წმინდა	19	234,235	(6,636)
ზარალი ძირითადი საშუალების გასვლისას		(19,231)	67,258
ფულადი ნაკადები მიღებული საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავ კაპიტალში ცვლილებებამდე:		7,111,132	1,860,578
შემცირება/(ზრდა) მიღებულ ავანსებში		(3,733,499)	5,868,724
შემცირება/(ზრდა) საგადასახადო აქტივში		136,440	(136,440)
ზრდა სავაჭრო მოთხოვნებში		(2,448,298)	(1,048,889)
ზრდა მარაგებში		(338,214)	(350,079)
ზრდა/(შემცირება) სავაჭრო ვალდებულებაში		1,525,978	(744,744)
ზრდა/(შემცირება) საგადასახადო ვალდებულებაში		458,492	(384,903)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები პროცენტამდე და მოგების გადასახადამდე:		2,712,031	5,064,247
გადახდილი მოგების გადასახადი		(280,677)	(214,398)
გადახდილი პროცენტები		(369,079)	(217,327)
წმინდა ფულადი ნაკადები მიღებული საოპერაციო საქმიანობიდან		2,062,275	4,632,522
საინვესტიციო საქმიანობა			
ძირითადი საშუალების შეძენა	6	(5,474,961)	(1,436,771)
ძირითადი საშუალების გაყიდვა	6	62,853	-
ზრდა არამატერიალურ აქტივებში	7	-	(119,239)
ფულადი ნაკადები გამოყენებული საინვესტიციო საქმიანობაში		(5,412,108)	(1,556,010)
საფინანსო საქმიანობა			
სესხის აღება	12	9,297,142	2,498,740
სესხის დაფარვა	12	(6,357,278)	(2,163,799)
სალიზინგო ვალდებულების დაფარვა		-	(233,309)
ზრდა საწესდებო კაპიტალში		145,491	265,920
გადახდილი დივიდენდები		(1,504,831)	(1,153,625)
წმინდა ფულადი ნაკადები გამოყენებული საფინანსო საქმიანობაში		1,580,524	(786,073)
ფულის და ფულის ეკვივალენტების (შემცირება)/ზრდა		(1,769,309)	2,290,439
გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი ფულის ნაშთზე	19	(29,948)	(16,410)
ფული და ფული ეკვივალენტები წლის დასაწყისში	10	2,519,738	245,709
ფული და ფული ეკვივალენტები წლის ბოლოს		720,481	2,519,738

*ზოგიერთი ნაჩვენები თანხა არ შეესაბამება 2022 წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას და ასახულია კორექტირებების შემდეგ იხ. შენიშვნა 4.

გამოყენებულია დასამტკიცებლად 2024 წლის 27 სექტემბერი და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

გენერალური დირექტორი

ფინანსური მენეჯერი

11-36 გვერდებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელი ნაწილია.

შპს „ჯიარჯი“

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

1. ჯგუფი და მისი საქმიანობა

შპს „ჯიარჯი“ (შემდგომში „კომპანია“) დარსდა და დარეგისტრირდა საგადასახადო რეესტრში 2013 წლის 19 მარტს. ჯგუფის საიდენტიფიკაციო ნომერია: 404982480. ჯგუფის იურიდიული მისამართია გაგარინის მეორე შესახვევი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, თბილისი, საქართველო.

კომპანია ფლობს შვილობილ კომპანიას (შემდგომში ერთად მოხსენიებული, როგორც „ჯგუფი“) როგორც ეს განმარტებულია შენიშვნა 2-ში ქვემოთ.

ჯგუფი სპეციალიზირდება ინფრასტრუქტურის მშენებლობის სექტორში და მთავარ მიმართულებას წარმოადგენს გზების მშენებლობა. მისი 100%-იანი წილის მფლობელია ვლადიმერ ჭედია 2023 წლის 31 დეკემბრისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ჯგუფი საქმიანობს საქართველოში, რომელსაც გააჩნია ზრდადი ბაზრის გარკვეული მახასიათებლები. საქართველოს საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და ხშირ ცვლილებებს. ამასთანავე საქართველოში მოქმედი კომპანიები დგანან არაერთი გამოწვევის წინაშე, რომელიც გამოწვეულია გაკოტრების კანონების განვითარების საჭიროებით, გირავნობის რეგისტრაციისა და აღსრულების ფორმალური პროცედურების განვითარების საჭიროებათა და სხვა სამართლებრივი და ფისკალური დაბრკოლებებით. საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნად დამოკიდებულია, როგორც მისი მთავრობის მიერ გატარებულ ეკონომიკურ, ფინანსურ და მონეტარულ პოლიტიკაზე, ასევე სამართლებრივ, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოზე.

ხელმძღვანელობას არ შეუძლია სანდოდ შეაფასოს ფინანსური ბაზრის ლიკვიდურობის შემცირებისა და სავალუტო ბაზრის გაზრდილი არასტაბილურობის გავლენა ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ იღებს ყველა საჭირო ზომას, რომ ხელი შეუწყოს ჯგუფის მდგრადობას და განვითარებას არსებულ პირობებში.

2. მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძველი

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები აღწერილია მიმდინარე შენიშვნაში (მე-2 განმარტებითი შენიშვნა). ხოლო მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-3 განმარტებითი შენიშვნაში.

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი თანხები მოცემულია საქართველოს ეროვნულ ვალუტა - ლარში (ლ / GEL) და დამრგვალებულია უახლოეს ერთეულამდე.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

შპს „ჯიარჯი“

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(*ქართულ ლარში*)

2. მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

კონსოლიდაციის საფუძველი

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ (შემდეგში „ფასს“) შესაბამისად, რომელიც გამოცემულია ბუღალტრული აღიჯვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასს) მიერ. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისათვის გამოყენებული ბუღალტრული აღიჯვის პოლიტიკა აღწერილია ქვემოთ. ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას ფასს 10 “კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება“ სტანდარტის შესაბამისად. წინა წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ასევე მომზადებული იყო ფასს-ის შესაბამისად.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფში შედგება 2 შვილობილი კომპანიისგან: შპს ინერტული მასალები (405368178) და შპს ჯიარჯი დეველოპმენტი (400354344). შპს ინერტული მასალები დაარსების თარიღია 2019 წლის 6 დეკემბერი, ხოლო შპს ჯიარჯი დეველოპმენტის 2023 წლის 16 მარტი (რეგისტრაციის ქვეყანა: საქართველო). ორივე კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელი არის შპს ჯიარჯი. შვილობილი კომპანიის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს სხვადასხვა ინერტული მასალების წარმოება. შვილობილი კომპანიის საქმიანობა ხორციელდება საქართველოში. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფში ასევე შედგება შპს ინერტული მასალების შვილობილი კომპანია - შპს ჯეორჯიან როუდ მათერიალსი-სგან (405545147), რომლის დაარსების თარიღია 2022 წლის 30 ივნისი (რეგისტრაციის ქვეყანა: საქართველო). კომპანიის 50% წილის მფლობელია შპს ინერტული მასალები, ხოლო დარჩენილი 50%-ის ირაკლი მარშანია.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

ხელმძღვანელობამ მოამზადა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე. ამ განსჯის დროს ჯგუფის ხელმძღვანელობამ შეაფასა ჯგუფის მომგებიანობა, წინა წელთან შედარებით მკვეთრად გაზრდილი შემოსავლები, ძლიერი ფინანსური მდგომარეობა, გაუნაწილებელი მოგების (კაპიტალის) ოდენობა და ასევე დადებითი საოპერაციო ფულადი ნაკადები. რესურსებზე ხელმისაწვდომობა, რაც საშუალებას აძლევს ჯგუფს განაგრძოს ფუნქციონირება მინიმუმ 12 თვის განმავლობაში ანგარიშგების თარიღის შემდგომ.

საანგარიშგებო პერიოდი

ჯგუფის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 კალენდარულ წელს: 1 იანვრიდან - 31 დეკემბრის ჩათვლით.

საანგარიშგებო ვალუტა, უცხოური ვალუტის კონვერტაცია

ჯგუფის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL).

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების თარიღისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

შპს „ჯიარჯი“

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

2. მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

საანგარიშგებო ვალუტა, უცხოური ვალუტის კონვერტაცია (გაგრძელება)

უცხოური ვალუტის ფულადი ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
1 აშშ დოლარი / ლარი	2,6894	2,7020
1 ევრო / ლარი	2.9753	2,8844

საშუალო კურსი წლის განმავლობაში იყო შემდეგი:

	2023	2022
1 აშშ დოლარი / ლარი	2.6279	2.9156
1 ევრო / ლარი	2.8416	3.0792

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, სხვა პირდაპირ დანახარჯებს და აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან დაკავშირებული ნებისმიერი აუცილებელი მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე შეფასებას.

მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა ჯგუფში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი. ყველა სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეკეთებასა და შენარჩუნებასთან, აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, რომელიც წარმოიშვა.

ჯგუფი ფლობს იჯარით აღებულ ძირითად საშუალებებს, რომლებიც თავდაპირველად აღიარებულია გადასახდელი იჯარის თანხების დისკონტირებული ღირებულებით, რაც შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას.

ძირითადი საშუალებები კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ნეტო საბალანსო ღირებულებით, რომელიც გამოიანგარიშება მისი თავდაპირველი ღირებულებიდან დაგროვილი ცვეთის, სალიკვიდაციო ღირებულებისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

ძირითადი საშუალების ცვეთა იწყება მაშინ, როდესაც აქტივი ვარგისია გამოსაყენებლად. ცვეთის გამოთვლა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს აქტივის ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის განმავლობაში. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ამ აქტივის მოსალოდნელი სარგებლიანობით საწარმოსათვის და ეყრდნობა მსგავსი აქტივების მქონე საწარმოს გამოცდილებას. ასევე, გაითვალისწინება აქტივის ტექნიკური მოძველება და ფიზიკური ცვეთა. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები:

შპს „ჯიარჯი“

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

2. მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

ჯგუფი	წლიური ამორტიზაციის ნორმა
მანქანა-დანადგარები	2-14
საწარმოო აღჭურვილობა	1-10
საოფისე აღჭურვილობა	1-5
სატრანსპორტო საშუალებები	5-10
ავეჯი	1-5
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	2-10
ქარხნის აღჭურვილობა	5-11
მიწა	არ იცვითება
აქტივი გამოყენების უფლებით	2-10

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება აქტივის ნარჩენი ღირებულებისა და მომსახურების ვადის გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში, მათი ცვლილება.

ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აღნიშნული თანხა უნდა აღირიცხოს სხვა აქტივის საბალანსო ღირებულებაში.

ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება გაყიდვის შემთხვევაში ან როდესაც მისი გაყიდვიდან ან გამოყენებიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც აღიარების შეწყვეტა მოხდა.

2. მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

მარაგები

ჯგუფში მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შეძენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, აგრეთვე იმ დანახარჯებს, რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის.

მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

ჯგუფის მარაგების ძირითადი ნაწილი მოიცავს ასფალტის საწარმოებ მასალებს. მარაგების ჩამოწერა ხორციელდება ფიფო მეთოდით.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულსა და ფულს ბანკში, რომელიც ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები, რომელთა გამოყენება არ შეიძლება 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლით ტრანზაქციებში გამოყენებისაგან, აღიარდება ბალანსზე როგორც სხვა გრძელვადიანი აქტივები.

2. მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები შეიძლება წარმოდგენილი იქნას სამ კატეგორიად - „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“, „რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით“ და „რეალური ღირებულებით შეფასებული, ცვლილებების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით“. ჯგუფის ხელმძღვანელობის შეფასებით, ჯგუფის ყველა ფინანსური აქტივი წარმოდგენილია კლასიფიკაციით - „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი ძირითადად წარმოიქმნება მომხმარებლებისთვის საქონლისა და მომსახურების მიწოდებიდან (მაგ. სავაჭრო მოთხოვნები), ასევე მოიცავს სხვა სახის ფინანსურ აქტივებს, რომლის ფლობის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირს და მასზე დარიცხულ პროცენტს.

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარების შეწყვეტა (ანუ ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან ამოღება) ხდება შემდეგ შემთხვევებში:

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლებების მოქმედების ვადა; ან
- ჯგუფმა დათმო აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; ან (ა) ჯგუფმა გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) ჯგუფმა არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივებთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება სამართლიან ღირებულებას დამატებული ტრანზაქციის დანახარჯები და შემდეგ აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, რომელსაც აკლდება გაუფასურების რეზერვი. ყველა გაყიდვა წარმოებს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების საფუძველზე და მოთხოვნებს არ ერიცხება პროცენტი. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გადაიხედება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება რათა დადგინდეს არსებობს თუ არა რაიმე გარემოება რაც ექვ ქვეშ აყენებს მათ დაფარვას.

აღმოჩენის შემთხვევაში, გაუფასურების დანახარჯები აღიარდება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ფინანსური ვალდებულებები

მიზნიდან გამომდინარე ჯგუფი მის ფინანსურ ვალდებულებებს აკლასიფიცირებს შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთით: რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახვით და სხვა ფინანსურ ვალდებულებებად. ჯგუფს ყველა ფინანსური ვალდებულება დაკლასიფიცირებული აქვს „სხვა ფინანსური ვალდებულებების“ კატეგორიაში. ფინანსური ვალდებულებები მოიცავს მიღებულ სესხებს და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს.

2. მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფინანსური ვალდებულებები (გაგრძელება)

ფინანსური ვალდებულებები საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალურ ღირებულებას დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების გამოშვებასთან. მსგავსი პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივი განაკვეთით ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას.

ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისთვის საპროცენტო ხარჯი მოიცავს საწყისი გარიგების ხარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელს ვალდებულების გამოსყიდვისთვის.

საწარმომ ფინანსური ვალდებულება (ან ფინანსური ვალდებულების ნაწილი) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა ამოიღოს, როდესაც ის შესრულებულია - ე.ი. როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები არის ჩვეულებრივი ბიზნესსაქმიანობისას მომწოდებლისაგან მიღებული საქონლის ან მომსახურების სანაცვლოდ გადასახდელი თანხები. ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება მიმდინარე ვალდებულებად თუ მისი დაფარვა მოსალოდნელია ერთ წელიწადში ან ნაკლებში, წინააღმდეგ შემთხვევაში კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი ვალდებულება. ბოლო დროს, სავაჭრო ვალდებულებების ყველა ჯგუფი მოსალოდნელია რომ დაიფაროს საანგარიშგებო პერიოდიდან ერთ წელზე ნაკლებ დროში და კლასიფიცირებულია როგორც მოკლევადიანი ვალდებულება.

ფინანსური ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება სამართლიან ღირებულებას დამატებული ტრანზაქციის დანახარჯები (შეიცავს ტრანზაქციის დანახარჯებს). სავაჭრო ვალდებულებები ეფუძნება ჩვეულებრივ საკრედიტო პირობებს და არ ერიცხებათ პროცენტი, ვალდებულებები, რომელსაც პროცენტი ერიცხება, ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთჩათვლა

ჯგუფი ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ურთიერთჩათვლას ახორციელებს მაშინ, როდესაც ურთიერთჩათვლა იურიდიულად არ არის შეზღუდული და ჯგუფი აპირებს ანგარიშსწორება განახორციელოს ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

„იჯარა“ (ფასს 16)

ა) აქტივის გამოყენების უფლება

ჯგუფი აქტივის გამოყენების უფლებას აღიარებს იჯარის დაწყების თარიღისთვის (ანუ იმ თარიღით, როდესაც საბაზისო აქტივი ხელმისაწვდომია გამოსაყენებლად). აქტივის გამოყენების უფლება თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით და შემდეგ ფასდება სამართლიანი ღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი და კორექტირდება საიჯარო ვალდებულებების ყოველი ხელახალი შეფასებისას. აქტივის გამოყენების უფლების თვითღირებულება მოიცავს აღიარებული საიჯარო ვალდებულებების და იჯარის დაწყების თარიღით ან თარიღამდე

2. მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

„იჯარა“ (ფასს 16) (გაგრძელება)

გადახდილი იჯარების თანხებს, რასაც აკლდება მიღებული საიჯარო შეღავათები. თუ ჯგუფს არ აქვს გონივრული რწმენა იმისა, რომ იჯარის ვადის ბოლოს მოიპოვებს საიჯარო აქტივის მესაკუთრეობის უფლებას, აღიარებულ აქტივის გამოყენების უფლებას ცვეთას არიცხავს წრფივი მეთოდით სავარაუდო სასარგებლო მომსახურებისა და იჯარის ვადებს შორის უმოკლეს ვადაზე. აქტივის გამოყენების უფლება ცვეთას ექვემდებარება.

ბ) საიჯარო ვალდებულებები

იჯარის დაწყების თარიღისთვის ჯგუფი აღიარებს საიჯარო ვალდებულებებს, რომლებიც გამოითვლება, როგორც იჯარის ვადის განმავლობაში გადასახდელი თანხების დღევანდელი ღირებულება. საიჯარო გადასახადები მოიცავს ფიქსირებულ გადახდებს (მათ შორის, არსებითად ფიქსირებულ გადახდებს), შემცირებულ მისაღები საიჯარო შეღავათებით, ცვლად საიჯარო გადასახადებს, რომლებიც დამოკიდებულია ინდექსზე ან განაკვეთზე და თანხებს, რომელთა გადახდა მოსალოდნელია ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით. საიჯარო გადასახადები ასევე შეიცავს შესყიდვის არჩევანის უფლების გამოყენების ღირებულებას, თუ არსებობს გონივრული რწმენა იმისა, რომ ჯგუფი მას გამოიყენებს და ჯარიმების გადახდებს იჯარის შეწყვეტის გამო, თუ იჯარის ვადა ასახავს ჯგუფის მიერ იჯარის ვადის შეწყვეტის უფლების გამოყენებას. ცვლადი საიჯარო გადასახადები, რომლებიც არ არის მიზნული ინდექსზე ან განაკვეთზე, აღიარებულია იმ პერიოდის ხარჯად, რომლის განმავლობაშიც დგება გადახდის გამომწვევი მოვლენა ან გარემოება. საიჯარო გადასახადების დღევანდელი ღირებულების გამოსათვლელად ჯგუფი იყენებს ზღვრულ სასესხო

საპროცენტო განაკვეთს იჯარის დაწყების თარიღისთვის, თუ საიჯარო ხელშეკრულებაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთი მკაფიოდ განსაზღვრული არ არის. იჯარის დაწყების თარიღის

შემდეგ, საიჯარო ვალდებულებების თანხა იზრდება, რათა ასახოს პროცენტის ზრდა და მცირდება იჯარის გადახდის შესაბამისად. ამასთან, საიჯარო ვალდებულებების საბალანსო ღირებულება ხელახლა ფასდება, თუ ხდება იჯარის ვადის მოდიფიკაცია ან ცვლილება, თუ იცვლება არსებითად ფიქსირებული საიჯარო გადასახადები ან ცვლილება შედის საბაზისო აქტივის შესყიდვის შეფასებაში.

გ) მოკლევადიანი იჯარები და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარა

მოკლევადიან იჯარებზე და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარებზე საიჯარო გადასახადების აღიარება ხდება ხარჯად წრფივი მეთოდით იჯარის ვადის განმავლობაში.

დ) განახლების პირობის მქონე ხელშეკრულებების იჯარის ვადის განსაზღვრა

ჯგუფი იჯარის ვადას განსაზღვრავს, როგორც იჯარის შეუქცევად ვადას იმ ნებისმიერ პერიოდთან ერთად, რომელსაც მოიცავს იჯარის გახანგრძლივების ოფციონი, თუ არსებობს ამ ოფციონის გამოყენების გონივრული რწმენა, ან ნებისმიერ პერიოდთან ერთად, რომელსაც მოიცავს იჯარის შეწყვეტის ოფციონი, თუ არსებობს გონივრული რწმენა იმისა, რომ მისი გამოყენება არ მოხდება.

ე) საიჯარო გადასახადები

ზოგ შემთხვევაში, სახელშეკრულებო ფიქსირებული გადახდების გარდა, ხელშეკრულებით ცვალებადი გადახდებიც არის გათვალისწინებული. ფასს 16-ის მიხედვით, საიჯარო გადასახადები არ უნდა შეიცავდეს რამე ცვალებად გადახდებს, რომლებიც არ არის დამოკიდებული ინდექსზე ან განაკვეთზე. მაგალითად, თუ ცვალებადი იჯარა დამოკიდებულია საქმიანობის შედეგებზე, იგი არ უნდა შევიდეს საიჯარო გადასახადებში.

2. მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ამონაგები

თუ შესაძლებელია სამშენებლო კონტრაქტების შედეგების საიმედოდ შეფასება, სამშენებლო კონტრაქტებთან დაკავშირებული ამონაგები და დანახარჯები აღიარდება ამონაგებისა და ხარჯების სახით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, საკონტრაქტო სამუშაოების შესრულების სტადიის მიხედვით.

ჯგუფი ეტაპობრივად ასრულებს სამუშაოებს და დაახლოებით თვეში ერთხელ დამკვეთთან ფორმდება აქტი შესრულებულ სამუშაოებზე, სადაც საიმედოდ შეფასებული შედეგებია მოცემული.

დანახარჯებს დამატებული ანაზღაურების ტიპის კონტრაქტებისათვის ამონაგები აღიარდება მოცემულ საანგარიშგებო პერიოდში გაწეული ასანაზღაურებელი დანახარჯებისა და სამშენებლო ხელშეკრულებაში მოცემული საერთო მარჟის მიხედვით.

თუ შეუძლებელია სამშენებლო კონტრაქტის შედეგების საიმედოდ შეფასება, ჯგუფი აღიარებს ამონაგების ნაწილს, რომელიც დაკავშირებულია იმ საკონტრაქტო დანახარჯებთან, რომლის ანაზღაურებაც მოსალოდნელია; და საკონტრაქტო დანახარჯების ხარჯად აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ისინი განხორციელდა.

საკონტრაქტო დანახარჯები აღიარდება ხარჯად იმ პერიოდში, როდესაც ხდება მათი გაწევა. თუ ჯგუფის ხელმძღვანელობა მოელის, რომ მთლიანი საკონტრაქტო დანახარჯები გადააჭარბებს მთლიან საკონტრაქტო ამონაგებს, მოსალოდნელი ზარალის თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება ხარჯად.

სამშენებლო კონტრაქტთან დაკავშირებული დანახარჯები მოიცავს. ა) დანახარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია კონკრეტულ სამშენებლო კონტრაქტებთან; ბ) დანახარჯებს, რომლებიც

დამახასიათებელია სამშენებლო კონტრაქტით გათვალისწინებული საერთო საქმიანობისათვის და შესაძლებელია მისი მიკუთვნება კონკრეტულ კონტრაქტზე; და გ) ისეთ დანახარჯებს,

რომლებიც დამკვეთს ერიცხება კონტრაქტით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად. აღნიშნული დანახარჯები შესაძლოა შემცირდეს მოულოდნელი ამონაგების წარმოშობის შედეგად,

რომელიც კონტრაქტით არ იყო გათვალისწინებული. ჯგუფი სამშენებლო ზედნადებში დანახარჯების განაწილებას ახორციელებს სისტემატურ და რაციონალურ საფუძველზე. შერჩეული მეთოდი გამოიყენება მუდმივად ყველა ანალოგიური ტიპის დანახარჯისათვის. დანახარჯების განაწილება ხორციელდება სამშენებლო საქმიანობის საშუალო დონის მიხედვით.

ყველა იმ დაუმთავრებელი კონტრაქტისათვის, როდესაც გაწეული დანახარჯების თანხას დამატებული აღიარებული მოგების და გამოკლებული აღიარებული ზარალის თანხა აღემატება შუალედური ანგარიშების თანხების ჯამს, ჯგუფს წარმოექმნება დამკვეთისაგან მისაღები თანხა, რომელიც ფინანსურ ანგარიშგებაში წარსდგება მოკლევადიანი აქტივების ნაწილში. როდესაც შუალედური ანგარიშების თანხები აღემატება გაწეული დანახარჯების თანხას დამატებული აღიარებული მოგების და გამოკლებული აღიარებული ზარალის თანხას, ჯგუფს წარმოექმნება დამკვეთის სასარგებლოდ გადასახდელი თანხა, რომელიც კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარსდგება მოკლევადიანი ვალდებულებების ნაწილში.

თანხები, რომელიც დარიცხულია შესრულებული სამუშაოსთვის, მაგრამ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არ არის ანაზღაურებული დამკვეთის მიერ, წარსდგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მუხლში „სავაჭრო და სხვა მოთხოვნები“.

2. მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი

საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი აისახება ყველა ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში დარიცხვის პრინციპის საფუძველზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით დისკონტირება მომავალში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები (ყველა მიღებული ან გადახდილი საკომისიოს ჩათვლით, რომელიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, გარიგების ხარჯებისა და სხვა ფასნამატებისა და დისკონტირების ჩათვლით) ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში, ან ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულების მოკლე პერიოდის განმავლობაში. საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

სხვა შემოსავლების აღიარება

სამშენებლო კონტრაქტებიდან მიღებული და საპროცენტო შემოსავლების გარდა, სხვა შემოსავლების აღიარება ხდება, როდესაც არსებობს რწმუნება, რომ ჯგუფი განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ შეფასება.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია

რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

ხელფასები, პრემიები, ბონუსები და თანამშრომელთა არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო ჯგუფმა დასაქმებულისგან.

კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი

ჯგუფის საწესდებო კაპიტალის მოცულობა და მისი ცვლილებები განისაზღვრება ჯგუფის მფლობელის გადაწყვეტილებით.

დივიდენდები

დივიდენდები აღიარდება როგორც ვალდებულება და გამოიქვითება საკუთარი კაპიტალიდან ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის მხოლოდ მაშინ, თუ ისინი გამოცხადებულია ანგარიშგების შედგენამდე პერიოდში ან ანგარიშგების შედგენის თარიღით. დივიდენდები ცხადდება, როდესაც მათი შეთავაზება ანგარიშგების შედგენის თარიღამდე ხდება, ან თუ ისინი შეთავაზებულია ან გამოცხადებულია ანგარიშგების თარიღის შემდგომ პერიოდში, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოცემამდე.

დაბეგვრა

მოგების გადასახადის ხარჯი შედგება პერიოდის მიმდინარე გადასახადისაგან. მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი მოდელის, რომელიც ძალაშია 2017 წლის 1 იანვრიდან, სპეციფიკიდან გამომდინარე,

2. მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

დაბეგვრა (გაგრძელება)

გადავადებული მოგების გადასახადის არსებობა აზრს კარგავს, ხოლო მიმდინარე პერიოდში მისი წარმოქმნა არ ხდება. ამიტომ, 2015 წელს წარმოქმნილი გადავადებული მოგების გადასახადი ჯგუფმა გააუქმა 2016 წელს.

პერიოდის გადასახადი აღიარებულია მოგება-ზარალში იმ შემთხვევის გარდა, თუ ის აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში. ჯგუფის მიმდინარე საგადასახადო ხარჯი, რომელიც დაკავშირებულია მის ძირითად საქმიანობასთან, გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ჯგუფი თავისი საქმიანობის ფარგლებში იბეგრება ასევე სხვა საოპერაციო გადასახადებით, რომელიც წარდგენილია (ქონების გადასახადი და საშემოსავლო გადასახადი) „სხვა ხარჯების“ და „ხელფასების და თანამშრომელთა სხვა სარგებლის“ მუხლში, შესაბამისად.

დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ), რომელიც უკავშირდება გაყიდვებს გადასახდელია საგადასახადო ორგანოში, როდესაც მოხდება საქონლის ან მომსახურების მიწოდება. შესყიდვებზე გადახდილი დღგ ჩაითვლება გადასახდელ დღგ-სთან, როდესაც მოხდება ჯგუფის მიერ ანგარიშ-ფაქტურის მიღება. საგადასახადო ორგანოსმიერ ნებადართულია რომ დღგ-ს ანგარიშსწორება განხორციელდეს ნეტო ბაზისზე. გაყიდვებზე და შესყიდვებზე დარიცხული დღგ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილია ნეტო თანხით. როდესაც ჯგუფის მიერ მოთხოვნებთან დაკავშირებით იქმნება გაუფასურების ანარიცხი, იგი მოიცავს მისაღები დღგ-ს თანხებსაც.

აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად და გრძელვადიანად

ჯგუფი აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მოკლევადიანად ან გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მოკლევადიანია, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- მოსალოდნელია მისი რეალიზება საანგარიშგებო პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში, ან
- აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ.

ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მოკლევადიანია, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- დასაფარია საანგარიშგებო პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას ჯგუფი გრძელვადიანის კატეგორიას მიაკუთვნებს.

2. მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია ბასს 24 -ით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“, წარმოადგენს:

- (ა) მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით: აკონტროლებენ ან კონტროლდებიან, ან არიან საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანიები (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;
- (ბ) პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც ჯგუფს აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივი საწარმო.
- (გ) ერთობლივი საწარმოები, სადაც ჯგუფი წარმოადგენს საწარმოს;
- (დ) კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.
- (ე) ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია (ა) ან (დ)-ში;
- (ვ) მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდებს.
- (ზ) დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული ჯგუფი

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე შეიძლება გავლენა იქონიოს გარკვეულმა მოვლენებმა, რომლებიც კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თარიღის შემდეგ ხდება. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენის საფუძვლებში, საზოგადოდ, განსაზღვრულია ორი ტიპის მოვლენა:

- ა) მაკორექტირებელი მოვლენები, რომლებიც მტკიცებულებებს უზრუნველყოფს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თარიღისათვის (კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებით მოცული ბოლო საანგარიშგებო პერიოდის დამთავრების თარიღი) არსებულ პირობებზე; და
- ბ) არამაკორექტირებელი მოვლენები, რომლებიც მტკიცებულებებს უზრუნველყოფს იმ პირობებზე, რომლებიც წარმოიშვა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თარიღის (კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებით მოცული ბოლო საანგარიშგებო პერიოდის დამთავრების თარიღი) შემდგომ პერიოდში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

ჯგუფი აკეთებს დაშვებებს და შეფასებებს, რომლებსაც გავლენა აქვთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე. შეფასებები და მსჯელობები განუწყვეტლივ ხორციელდება და ეყრდნობა ხელმძღვანელობის გამოცდილებას, ისევე როგორც სხვა ფაქტორებს, მათ შორის მომავალ სავარაუდო მოვლენებს რომელთა ვარაუდიც გონივრულობის ფარგლებში შესაძლებელია შექმნილი გარემოებების მიხედვით. ხელმძღვანელობა ასევე წარმოადგენს კონკრეტულ მსჯელობებს გარდა შეფასებებისა, რომლებიც გამოყენებულია სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები (გაგრძელება)

მსჯელობები, რომლებსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და შეფასებები, რომლებსაც შეუძლიათ გამოიწვიონ აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი ცვლილება მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში.

შეფასებები და ძირითადი დაშვებები გადახედვას ექვემდებარება უწყვეტად. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებების ეფექტი აღიარდება იმ პერიოდში, როცა გადახედვა მოხდა თუ ცვლილება მხოლოდ ეხება იმავე პერიოდს ან თუ ცვლილება ეხება როგორც იმავე, ისე მომავალ საანგარიშგებო პერიოდს.

ხელმძღვანელობისგან მნიშვნელოვან შეფასებებსა და დაშვებებს მოითხოვს ძირითადი საშუალებების მომსახურების ვადებთან, მათ ნარჩენ ღირებულებებთან, ფინანსური აქტივების გაუფასურებასთან და გადასახადებთან დაკავშირებით.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები და ნარჩენი ღირებულება

როგორც ზემოთ აღინიშნა, ჯგუფი გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს და ნარჩენ ღირებულებებს ანგარიშგების ყოველი წლის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის და ნარჩენი ღირებულებების განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის ხარჯის ცვლილება.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ჯგუფი აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკიდან, რათა განისაზღვროს ფინანსური აქტივების მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული

განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტობრივი შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რომელიც აღრიცხულია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

გადასახადები

საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება, როგორც განსხვავებულ განმარტებებს, ასევე ხშირ ცვალეზადობას. შესაბამისად, საგადასახადო ორგანოების ხდება კანონმდებლობის რომელიმე ნორმის მიმართ, რომელიც გამოყენებულია ჯგუფის მიერ მისი საქმიანობის ფარგლებში და მასთან დაკავშირებული ტრანზაქციების საგადასახადო ადმინისტრირებისას, შესაძლოა არ მოვიდეს თანხედრად კანონმდებლობის ხელმძღვანელობის გაგებასთან. შედეგად, საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენონ ტრანზაქციები და დაარიცხოთ დამატებითი გადასახადები, პირგასამტეხლოები და პროცენტები რასაც შესაძლებელია ჰქონდეს მნიშვნელოვანი გავლენა. ხელმძღვანელობის რწმენით, შესაბამისი კანონმდებლობის მისეული ინტერპრეტაცია არის შესაფერისი და მოსალოდნელია, რომ ჯგუფის საგადასახადო და საბაჟო პოზიცია იქნება მდგრადი.

შპს „ჯიარჯი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

4. წინა პერიოდის შეცდომის გასწორება და რეკლასიფიკაცია

შეცდომის გასწორება:

ჯგუფის ხელმძღვანელობამ გაასწორა წინა პერიოდის ანგარიშგებაში შეცდომით წარდგენილი ინფორმაცია საგადასახადო ვალდებულებასთან მიმართებაში. 2023 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას აღმოჩნდა, რომ ჯგუფს არასწორად ქონდა წარდგენილი 2021 წლის საგადასახადო დეკლარაცია და შესაბამისად აღიარა საგადასახადო ვალდებულების ძირითადი თანხა და პოტენციური ჯარიმა. ამასთან 2023 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ჯგუფმა აღმოაჩინა, რომ 2022 წლის ციფრები არ მოიცავდა ერთ-ერთი შვილობილის შპს “ჯეორჯიან როლდ მატერიალის” მონაცემებს, ასევე დაკორექტირდა წინა პერიოდის საეკო მოთხოვნების თანხები. შესაბამისი შეცდომა გაასწორა ყველა ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი ელემენტების შესწორებით, რომელზეც ქონდა გავლენა ზემოხსენებულ შეცდომას, შემდეგნაირად:

გავლენა კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე

31 დეკემბერი, 2022	წინა ანგარიშგების მიხედვით	მაკორექტირებელი შესწორება	რეკლასიფიკაცია	კორექტირებული თანხა
ძირითადი საშუალებები	5,837,405	210,033	-	6,047,438
მარაგები	2,020,291	33,049	-	2,053,340
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3,011,657	57,716	68,170	3,137,543
ფული და ფულის ეკვივალენტები	2,519,605	133	-	2,519,738
საგადასახადო აქტივები	243,257	(106,817)	-	136,440
საწესდებო კაპიტალი	(15,230)	(265,920)	-	(281,150)
მიღებული ავანსები	(5,994,787)	-	(75,993)	(6,070,780)
საიჯარო ვალდებულება	(84,976)	-	52,827	(32,149)
სავაჭრო და სხვა გადასახდელები	(3,701,700)	(75,883)	(38,805)	(3,816,388)
გრძელვადიანი სესხები	(477,435)	-	189,317	(288,118)
მოკლევადიანი სესხები	(1,808,072)	-	(195,516)	(2,003,588)
გაუნაწილებელი მოგება	(1,803,811)	147,689	-	(1,656,122)

1 იანვარი, 2022	წინა ანგარიშგების მიხედვით	მაკორექტირებელი შესწორება	რეკლასიფიკაცია	კორექტირებული თანხა
საიჯარო ვალდებულება	(251,638)	-	73,204	(178,434)
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	-	-	(73,204)	(73,204)
გრძელვადიანი სესხები	(16,510)	-	(28,382)	(44,892)
მოკლევადიანი სესხები	(1,986,036)	-	28,382	(1,957,654)
მარაგები	1,616,044	87,217	-	1,703,261
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,301,936	(7,460)	-	2,294,476
საგადასახადო ვალდებულებები	(179,139)	(145,047)	-	(324,186)
გაუნაწილებელი მოგება	(2,717,323)	65,290	-	(2,652,033)

შპს „ჯიარჯი“

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

3. წინა პერიოდის შეცდომების გასწორება და რეკლასიფიკაცია (გაგრძელება)

გავლენა მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაზე

2022	წინა ანგარიშგების მიხედვით	2021 წლის გადაანგარიშების ეფექტი	მაკორექტირებელი შესწორება 2022	კორექტირებული თანხა
ამონაგები	25,019,346	-	38,157	25,057,503
რელიზაციის თვითღირებულება	(20,872,913)	-	(884,955)	(21,757,868)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(2,626,062)	-	597,564	(2,028,498)
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	(266,253)	-	60,432	(205,821)
არასოპერაციო შემოსავალი	125,956	-	106,403	232,359
გაუნაწილებელი მოგება	(1,803,811)	65,290	82,399	(1,656,122)

5. ახალი და განახლებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები

2023 წლის 1 იანვრიდან ძალაში შესულ ცვლილებებს ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაზე გავლენა არ მოუხდენია. წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღის მდგომარეობით, ჯგუფს ადრეულად არ გამოუყენებია ახალი და შეცვლილი ფასის სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა. შემდეგი ცვლილებები და ინტერპრეტაციები ძალაშია წლიური პერიოდების განმავლობაში, რომელიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ:

ფასს 17 - სადაზღვევო ხელშეკრულებები - ფასს 17 - "სადაზღვევო ხელშეკრულებები" - ადგენს პრინციპებს საწარმოს მიერ დადებული სადაზღვევო ხელშეკრულებების აღიარების, შეფასების, წარდგენისა და მათ შესახებ განმარტებით შენიშვნებში ინფორმაციის გამჟღავნებისთვის. გარდა ამისა, სტანდარტი ანალოგიური პრინციპების გამოყენებას მოითხოვს ასეთი სადაზღვევო ხელშეკრულებებისა და საწარმოს მიერ გამოშვებული დისკრეციული მონაწილეობის პირობების მქონე საინვესტიციო ხელშეკრულებების მიმართაც.

ბასს 1-ის შესწორებები - "ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიან ან გრძელვადიან ვალდებულებებად" - ბასს 1-ის "ფინანსური ანგარიშგების წარდგენა" - შესწორებების შედეგად უფრო ნათლად განისაზღვრა მოთხოვნები, რომლებიც ეხება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ვალდებულებების ნაშთის წარდგენას მოკლევადიანი ან გრძელვადიანი ვალდებულებების სახით. ასევე, უფრო ნათლად არის განმარტებული ვალდებულებების დაფარვის მნიშვნელობა.

ფასს 10-ისა და ბასს 28-ის შესწორებები - "აქტივების გაყიდვა ან საკუთარ კაპიტალში შეტანა ინვესტორსა და მის მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოს შორის დადებული გარიგების ფარგლებში" - ფასს 10-ისა - "კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება" და ბასს 28-ის - "ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში" - შესწორებების შედეგად უფრო ნათელი გახდა ინვესტორსა და მის მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოებს შორის განხორციელებული აქტივების გაყიდვის ან საკუთარ კაპიტალში შეტანის ოპერაციების სააღრიცხვო მიდგომა. იმ შემთხვევაში, როდესაც არაფულადი აქტივები წარმოადგენს საწარმოს, ინვესტორი აღიარებს მთელ შემოსულობას ან ზარალს, რომელიც დაკავშირებულია ამ აქტივების გაყიდვასთან ან საკუთარ კაპიტალში შეტანასთან. სხვა შემთხვევაში, ინვესტორი შემოსულობას ან ზარალს მხოლოდ იმ ოდენობით აღიარებს, რა ოდენობის წილიც აქვს სხვა ინვესტორს მეკავშირე საწარმოში ან ერთობლივ საწარმოში. ამ

შპს „ჯიარჯი“

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(*ქართულ ლარში*)

შესწორებების ძალაში შესვლა გადავადდა მანამდე, სანამ ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭო დაადასტურებს წილობრივ მეთოდთან დაკავშირებულ კვლევით პროექტს.

ბასს 12-ის შესწორებები - გადავადებული გადასახადი, რომელიც დაკავშირებულია ერთი ოპერაციიდან წარმოშობილ აქტივებსა და ვალდებულებებთან - დოკუმენტმა - "გადავადებული გადასახადი, რომელიც დაკავშირებულია ერთი ოპერაციიდან წარმოშობილ აქტივებსა და ვალდებულებებთან" - გამოიწვია ბასს 12-ის შეცვლა, რათა უფრო ნათელი გამხდარიყო ისეთ ოპერაციებთან დაკავშირებული გადავადებული გადასახადის აღრიცხვის წესი, რომლებიც, ოპერაციის განხორციელების მომენტში წარმოშობს იდენტურ დასაბეგრ და გამოსაქვით დროებით სხვაობებს. გარკვეულ გარემოებებში, საწარმო თავისუფლდება გადავადებული გადასახადის აღიარებისგან, როდესაც ის პირველად აღიარებს აქტივებს ან ვალდებულებებს. ბასს 12-ის ამ შესწორების დოკუმენტში მითითებულია, რომ გათავისუფლება არ ვრცელდება ისეთ ოპერაციებზე, რომლის დროსაც საწარმო აღიარებს, როგორც აქტივს, ისე ვალდებულებას და ამავე დროს წარმოიქმნება იდენტური დასაბეგრი და გამოსაქვითი დროებითი სხვაობები. ასე შეიძლება მოხდეს ისეთი ოპერაციების შემთხვევაში, როგორიცაა იჯარა და ექსპლუატაციიდან ამოღების, ადგილმდებარეობის აღდგენისა და მსგავსი ვალდებულებები.

შპს „ჯიარჯი“

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

6. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	დაუმთავრებელი მშენებლობები	მიწა	მანქანა- დანადგარები	საწარმოო საშუალებები	ოფისის აღჭურვილ ობა	კომპიუტ ერული ტექნიკა	ავეჯი და ინვენტარი	იჯარით აღებული ქონების კეთილმო წყობა	ქარხნის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
ისტორიული ღირებულება											
1 იანვარი 2022	-	148,599	4,597,093	396,979	91,787	1,673	34,809	155,566	2,396,225	383,440	8,206,171
შემოსვლა	-	-	1,305,521	78,407	21,751	1,589	11,303	-	-	18,200	1,436,771
გასვლა	-	-	(140,044)	-	(1,312)	-	(678)	-	-	(35,082)	(177,116)
ტრანსფერი აქტივი გამოყენების უფლებიდან	-	-	271,319	-	-	-	-	-	-	-	271,319
31 დეკემბერი 2022	-	148,599	6,033,889	475,386	112,226	3,262	45,434	155,566	2,396,225	366,558	9,737,145
შემოსვლა	1,162,500	3,657,159	301,359	42,181	30,283	424	28,094	-	-	252,961	5,474,961
გასვლა	-	-	(47,159)	(41,132)	(7,812)	-	(7,293)	(4,814)	-	(55,240)	(163,450)
31 დეკემბერი 2023	1,162,500	3,805,758	6,288,089	476,435	134,697	3,686	66,235	150,752	2,396,225	564,279	15,048,656
დაგროვილი ცვეთა											
1 იანვარი 2022	-	-	(1,423,310)	(344,615)	(60,561)	(330)	(25,046)	(133,221)	(1,148,475)	(171,758)	(3,307,316)
ცვეთა	-	-	(302,317)	(8,254)	(7,316)	(276)	(3,846)	(1,138)	(58,994)	(19,136)	(401,277)
ტრანსფერი აქტივი გამოყენების უფლებიდან	-	-	(90,971)	-	-	-	-	-	-	-	(90,971)
გასულების დაგროვილი ცვეთა	-	-	84,265	-	1,312	-	678	-	-	23,602	109,857
31 დეკემბერი 2022	-	-	(1,732,333)	(352,869)	(66,565)	(606)	(28,214)	(134,359)	(1,207,469)	(167,292)	(3,689,707)
ცვეთა	(3,121)	-	(493,820)	(13,631)	(12,368)	(569)	(5,832)	(1,138)	(58,994)	(23,004)	(612,477)
გასულების დაგროვილი ცვეთა	-	-	30,824	36,583	7,362	-	6,731	4,814	-	33,514	119,828
31 დეკემბერი 2023	(3,121)	-	(2,195,329)	(329,917)	(71,571)	(1,175)	(27,315)	(130,683)	(1,266,463)	(156,782)	(4,182,356)
წმინდა საბალანსო ღირებულება											
31 დეკემბერი 2022	-	148,599	4,301,556	122,517	45,661	2,656	17,220	21,207	1,188,756	199,266	6,047,438
31 დეკემბერი 2023	1,159,379	3,805,758	4,092,760	146,518	63,126	2,511	38,920	20,069	1,129,762	407,497	10,866,300

შპს „ჯიარჯი“

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

7. არამატერიალური აქტივები

ჯგუფის არამატერიალური აქტივები შედგება ქვიშა-ხრემის მოპოვების ლიცენზიებიდან, რომლის ცვეთაც ხდება მოპოვების პროპორციულად. 2023 წლის განმავლობაში არამატერიალური აქტივების ცვეთამ შეადგინა 51,954 ლარი, ხოლო 2022 წლის განმავლობაში 29,282 ლარი.

8. მარაგები

მარაგები 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
დაუმთავრებელი წარმოება	1,083,190	944,537
ნედლეული და მასალები	334,910	487,298
საქონელი	877,343	575,533
სხვა მასალები	96,111	45,972
სულ მარაგები	2,391,554	2,053,340

9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
ფინანსური აქტივები		
სავაჭრო მოთხოვნები	5,714,215	3,194,606
საკონტრაქტო აქტივი	637,948	1,038,544
გაუფასურების რეზერვი	(1,327,952)	(1,297,920)
არაფინანსური აქტივი		
გადახდილი ავანსები	536,723	202,313
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5,560,934	3,137,543

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების რეზერვის მოძრაობა 2023 წლის 31 დეკემბერს და 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

გაუფასურების რეზერვი 1/1/2022	(1,092,098)
წლის დარიცხვა	(211,303)
აღდგენა	5,481
გაუფასურების რეზერვი 31/12/2022	(1,297,920)
წლის დარიცხვა	(30,032)
გაუფასურების რეზერვი 31/12/2023	(1,327,952)

10. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	-	1,155
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკებში	590,544	2,518,349
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკებში	129,937	234
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	720,481	2,519,738

შპს „ჯიარჯი“

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

11. მოგების გადასახადის ხარჯი

2016 წლის ივნისში საქართველოს საგადასახადო კანონში ცვლილებები შევიდა მოგების გადასახადთან დაკავშირებით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან და ვრცელდება საქართველოში მოქმედ ყველა ჯგუფზე, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა. ახალი ნორმატიული აქტების თანახმად, მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, და არა მოგება, რომელიც მიღებული იქნა არსებული ნორმატიული აქტების შესაბამისად. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. ჯგუფს უფლება აქვს ჩაითვალოს 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ ჯგუფებს შორის დივიდენდების განაწილება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით.

2023 წელს ჯგუფმა გამოაცხადა და გადაიხადა 1,584,033 ლარის დივიდენდი (2022: 1,214,342 ლარი)

12. მიღებული სესხები

გრძელვადიანი სესხები 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

მსესხებელი	ვალუტა	სესხის აღების თარიღი	სესხის დასრულების თარიღი	საპროცენტო განაკვეთი	ძირითადი თანხა 31/12/2023	გადასახდელი პროცენტი	ჯამი 2023
						31/12/2023	
სს თიბისი ბანკი	აშშ დოლარი	2/7/2023	2/7/2025	10.00%	48,982	-	48,982
სს თიბისი ბანკი	აშშ დოლარი	5/18/2023	5/18/2031	10.00%	907,748	-	907,748
სს თიბისი ბანკი	ლარი	5/24/2022	5/24/2024	14.50%	112,275	-	112,275
სს თიბისი ბანკი	აშშ დოლარი	7/4/2022	7/4/2024	11.38%	175,023	-	175,023
სს თიბისი ბანკი	აშშ დოლარი	10/25/2023	10/24/2026	9.50%	2,877,658	-	2,877,658
სს თიბისი ბანკი	აშშ დოლარი	12/29/2023	6/29/2025	10.50%	1,223,677	-	1,223,677
შპს პაუერ ენდ ბიუთი	ლარი	5/19/2022	5/19/2023	13.40%	-	29,520	29,520
სულ სესხები					5,345,363	29,520	5,374,883

მსესხებელი	ვალუტა	სესხის აღების თარიღი	სესხის დასრულების თარიღი	საპროცენტო განაკვეთი	ძირითადი თანხა 31/12/2022	გადასახდელი პროცენტი	ჯამი 2022
						31/12/2022	
სს თიბისი ბანკი	ლარი	4/6/2022	3/6/2023	17.00%	300,000	-	300,000
სს თიბისი ბანკი	ლარი	12/28/2022	1/27/2023	17.00%	1,000,000	-	1,000,000
სს თიბისი ბანკი	ლარი	5/24/2022	5/24/2024	14.50%	354,140	-	354,140
სს თიბისი ბანკი	აშშ დოლარი	7/4/2022	7/4/2024	11.38%	452,716	-	452,716
სს თიბისი ბანკი	აშშ დოლარი	12/27/2019	3/27/2023	10.23%	44,892	-	44,892
ალექსანდრე ჭედიია	ლარი	11/1/2022	11/1/2023	18.00%	6,200	186	6,386
შპს პაუერ ენდ ბიუთი	ლარი	5/19/2022	5/19/2023	13.40%	120,000	13,572	133,572
სულ სესხები					2,277,948	13,758	2,291,706

შპს „ჯიარჯი“

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

12. მიღებული სესხები (გაგრძელება)

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
მოკლევადიანი სესხები	4,517,032	1,989,830
გრძელვადიანი სესხები	828,331	288,118
საპროცენტო ვალდებულება	29,520	13,758
	5,374,883	2,291,706

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების რეზერვის მოძრაობა 2023 წლის 31 დეკემბერს და 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

31 დეკემბერი 2021	2,002,546
სესხის აღება	2,498,740
საპროცენტო ხარჯი	216,686
გადახდილი პროცენტი	(206,498)
სესხის ძირის გადახდა	(2,163,799)
საკურსო სხვაობა	(55,969)
31 დეკემბერი 2022	2,291,706
სესხის აღება	9,297,142
საპროცენტო ხარჯი	384,840
გადახდილი პროცენტი	(369,079)
სესხის ძირის გადახდა	(6,357,278)
საკურსო სხვაობა	127,552
31 დეკემბერი 2023	5,374,883

13. მიღებული ავანსები

ჯგუფის მიღებული ავანსები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 2,337,281 ლარს (2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 6,070,780), რომელიც მოიცავს სამშენებლო კონტრაქტების ფარგლებში მიღებულ თანხებს. ჯგუფს წარდგენილი აქვს საბანკო გარანტიები აღნიშნულ ავანსებთან მიმართებით. საგანარტიო ხარჯებთან დაკავშირებული ინფორმაცია იხილეთ 18 შენიშვნაში.

14. სავაჭრო და სხვა გადასახდელები

სავაჭრო და სხვა გადასახდელები 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
სავაჭრო ვალდებულებები	5,516,002	3,741,173
გადასახდელი ხელფასები	58,898	20,744
სხვა ვალდებულებები	35,487	54,471
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	5,610,387	3,816,388

შპს „ჯიარჯი“

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

15. ამონაგები

ამონაგები 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023	2022
სამშენებლო კონტრაქტები	34,195,098	16,792,135
ასფალტის რეალიზაცია	5,612,858	3,517,738
ბიტუმის რეალიზაცია	466,481	1,766,911
შემოსავალი სხვა მომსახურებიდან	597,089	2,304,193
მზა პროდუქტის რეალიზაციიდან	898,252	676,526
სულ ამონაგები	41,769,778	25,057,503

16. რეალიზაციის თვითღირებულება

რეალიზაციის თვითღირებულება 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023	2022
თვითღირებულება სამშენებლო კონტრაქტებზე	26,549,698	14,399,085
რეალიზებული ასფალტის თვითღირებულება	4,358,454	3,392,614
რეალიზებული ბიტუმის თვითღირებულება	442,566	1,726,722
სხვა ხარჯები	931,425	1,672,991
რეალიზებული წარმოებული პროდუქციის თვითღირებულება	688,524	566,456
სულ რეალიზაციის თვითღირებულება	32,970,667	21,757,868

17. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023	2022
ხელფასები	1,182,516	731,996
რემონტის ხარჯები	280,650	228,292
საწვავის ხარჯი	159,054	166,315
მომსახურების ხარჯი	256,480	5,190
ცვეთა და ამორტიზაცია	509,848	506,456
იჯარის ხარჯი	91,314	19,412
საგადასახადო ხარჯები	70,179	65,354
საკომისიო ხარჯი	26,603	-
მივლინება	5,241	17,620
საკანცელარიო ხარჯი	3,494	-
სხვა ხარჯი	153,400	287,863
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	2,738,779	2,028,498

შპს „ჯიარჯი“

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

18. ფინანსური ხარჯი

ფინანსური ხარჯები 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023	2022
მიღებულ სესხებზე	385,080	216,687
საგარანტიო მომსახურებაზე	157,818	384,964
ფაქტორინგის მომსახურებაზე	31,922	-
ფინანსურ იჯარაზე	-	10,829
სულ საპროცენტო ხარჯი	574,820	612,480

19. ზარალი/(მოგება) კურსთაშორისი სხვაობიდან

	2023	2022
საკურსო ზარალი		
ფული და ფულის ეკვივალენტები	(34,297)	(16,776)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	(37)	(9,677)
სავაჭრო და სხვა გადასახდელები	(82,290)	-
გრძელვადიანი სესხები	(181,698)	-
საიჯარო ვალდებულება	-	(26,010)
საკურსო მოგება		
ფული და ფულის ეკვივალენტები	4,349	366
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5,162	-
სავაჭრო და სხვა გადასახდელები	234	253
გრძელვადიანი სესხები	54,342	55,968
საიჯარო ვალდებულება	-	-
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	-	2,512
სულ მოგება კურსთაშორისი სხვაობიდან	(234,235)	6,636

20. არასაოპერაციო ხარჯი

არასაოპერაციო ხარჯი 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023	2022
ჯარიმები და საურავები	96,041	14,904
ძირითადი საშუალების ჩამოწერა/გაყიდვისას მიღებული ზარალი	34,887	138,165
სხვა	15,634	12,266
სულ არასაოპერაციო ხარჯები	146,562	165,335

შპს „ჯიარჯი“

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

21. არასაოპერაციო შემოსავალი

არასაოპერაციო ხარჯი 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023	2022
ძირითადი საშუალების ჩამოწერა/გაყიდვისას მიღებული მოგება	62,853	43,520
მიღებული ჯარიმები	57,909	-
საიჯარო შემოსავალი	184,862	106,403
თანადაფინანსებით გათვალისწინებული თანხები	14,848	14,937
სხვა	111,578	67,499
სულ არასაოპერაციო შემოსავალი	432,050	232,359

22. ფინანსური და სხვა რისკების მართვა

რისკი თანდაყოლილი მოვლენაა ჯგუფის საქმიანობისათვის, მაგრამ მისი მართვა შესაძლებელია რეგულარული ღონისძიებებით, როგორიცაა რისკების იდენტიფიცირება, შეფასება და ყოველდღიური მონიტორინგი, რის შედეგადაც დგინდება რისკის ლიმიტი და იქმნება კონტროლის მექანიზმები. თითოეული პირი ჯგუფში, ანგარიშვალდებულია მის პასუხისმგებლობასთან დაკავშირებულ რისკზე. ჯგუფის ძირითად ფინანსურ რისკებს წარმოადგენს საკრედიტო, ლიკვიდურობის, საპროცენტო განაკვეთისა და სავალუტო რისკები, ამ რისკებთან დაკავშირებული ჯგუფის რისკების მართვის პოლიტიკა განხილულია ქვემოთ.

კაპიტალის მართვის მიზნები, პოლიტიკა და მიდგომები

ჯგუფმა შეიმუშავა კაპიტალის მართვის შემდეგი მიზნები, პოლიტიკა და მიდგომები იმისათვის, რათა მართოს ის რისკები, რომლებიც კაპიტალის პოზიციაზე ახდენს გავლენას.

კაპიტალის მართვის მიზნებია:

- ჯგუფმა შეინარჩუნოს სტაბილურობის მოთხოვნილი დონე, შედეგად, უზრუნველყოს მომხმარებლების დაცულობა;
- გაანაწილოს კაპიტალი ეფექტურად და დაეხმაროს ბიზნესს განვითარებაში, რათა უკუგებათ კაპიტალზე დაკმაყოფილოს მფლობელთა მოთხოვნები;
- შეინარჩუნოს ფინანსური მოქნილობა ლიკვიდურობის შენარჩუნებისა და კაპიტალის სხვადასხვა ბაზარზე წვდომისათვის;
- შეინარჩუნოს ფინანსური სიძლიერე ახალი ბიზნესის ზრდისა და კაპიტალის მფლობელთა დაკმაყოფილების უზრუნველყოფის მიზნით.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს ჯგუფის ფინანსური დანაკარგების რისკს იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელი ან ფინანსურ ინსტრუმენტთან დაკავშირებული მეორე მხარე არ შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს.

შპს „ჯიარჯი“

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

22. ფინანსური და სხვა რისკების მართვა (გაგრძელება)

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, როდესაც ჯგუფი დგას ფინანსური სირთულეების წინაშე ვალდებულებების დაფარვისას და მათი გადახდის ვადის დადგომის პერიოდში. ჯგუფი ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით და განსაზღვრავს ჯგუფის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის.

ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით, ჯგუფი ახდენს მომავალი ფულადი ნაკადების რეგულარულ მონიტორინგს, რომელიც აქტივების/ვალდებულებების მენეჯმენტის პროცესია.

ქვემოთ ცხრილში მოცემულია ჯგუფის ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რომელიც დაფუძნებულია დარჩენილ არადისკონტირებულ სახელშეკრულებო ვალდებულებებზე. დაფარვები, რომლებიც ექვემდებარება შეტყობინების საფუძველზე ანაზღაურებას, განიხილება, თითქოს შეტყობინება დაუყოვნებლივ მოხდა, თუმცა ჯგუფი გამოცდილებით იმედოვნებს, რომ ბევრი მომწოდებელი ერთდროულად არ მოითხოვს ვალდებულებების დაფარვას.

ჯგუფის ფინანსური აქტივების ვადიანობის ანალიზი 2023 წლის 31 დეკემბერი:

ფინანსური აქტივები	1 წლამდე	1-5 წლამდე	სულ
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5,024,211	-	5,024,211
ფული და ფულის ეკვივალენტები	720,481	-	720,481
სულ ფინანსური აქტივები	5,744,692	-	5,744,692

ფინანსური ვალდებულება	1 წლამდე	1-5 წლამდე	სულ
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	5,610,387	-	5,610,387
მიღებული სესხები	4,546,552	828,331	5,374,883
საიჯარო ვალდებულებები	-	-	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	10,156,939	828,331	10,985,270
წმინდა ლიკვიდობა	(4,412,247)	(828,331)	(5,240,578)

ჯგუფის ფინანსური აქტივების ვადიანობის ანალიზი 2022 წლის 31 დეკემბერი:

ფინანსური აქტივები	1 წლამდე	1-5 წლამდე	სულ
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,935,230	-	2,935,230
ფული და ფულის ეკვივალენტები	2,519,738	-	2,519,738
სულ ფინანსური აქტივები	5,454,968	-	5,454,968

ფინანსური ვალდებულება	1 წლამდე	1-5 წლამდე	სულ
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,816,388	-	3,816,388
მიღებული სესხები	2,003,588	288,118	2,291,706
საიჯარო ვალდებულებები	-	-	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	5,819,976	288,118	6,108,094
წმინდა ლიკვიდობა	(365,008)	(288,118)	(653,126)

ჯგუფის მენეჯმენტი არ იყენებს მხოლოდ დაუდისკონტირებელი ვალდებულებების ვადიანობის ანალიზს ლიკვიდობის რისკის სამართავად, არამედ იგი ახორციელებს ლიკვიდურობის სხვაობის მონიტორინგს, რომელიც ეფუძნება როგორც ფინანსური ვალდებულებების, ასევე, ფინანსური აქტივების მოსალოდნელ დაფარვის ვადებს ფინანსური აქტივების ვადიანობის ანალიზი ეფუძნება მათ საბალანსო ღირებულებას.

შპს „ჯიარჯი“

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

22. ფინანსური და სხვა რისკების მართვა (გაგრძელება)

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შემცირების რისკი, საბაზრო პირობების ცვლილების შედეგად.

ჯგუფის საბაზრო რისკი წარმოიშობა პროცენტის მატარებელი და უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. მოცემული რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი შემოსავლების ცვლილებაში საპროცენტო განაკვეთების (საპროცენტო რისკი) და ვალუტის კურსის (სავალუტო რისკი) ცვლილებებთან კავშირში.

საპროცენტო რისკი

საპროცენტო რისკი არის რისკი (ცვლადი ღირებულებით), რომელიც დაკავშირებულია პროცენტის მატარებელ აქტივებთან - სესხებთან, მათი ცვლადი განაკვეთებიდან გამომდინარე.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის უცხოური ვალუტის ცვლილების შედეგად ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების ცვლილების რისკი. სავალუტო რისკის წინაშე შეიძლება იდგეს ჯგუფის ფინანსური მდგომარეობა და ფულადი სახსრების მოძრაობა.

ჯგუფის სავალუტო რისკის ანალიზი:

2023 წლის 31 დეკემბერი	ფინანსური აქტივები	ფინანსური	
		ვალდებულებები	წმინდა პოზიცია
დოლარი	676,410	(5,233,628)	(4,557,218)
	676,410	(5,233,628)	(4,557,218)

2022 წლის 31 დეკემბერი	ფინანსური აქტივები	ფინანსური	
		ვალდებულებები	წმინდა პოზიცია
დოლარი	275,458	(501,274)	(225,816)
	275,458	(501,274)	(225,816)

სავალუტო რისკი (გაგრძელება)

	2023	2022
აშშ დოლარის 10% გამყარება	455,722	(27,179)
აშშ დოლარის 10% გაუფასურება	(455,722)	27,179

საოპერაციო რისკი

საოპერაციო რისკი განისაზღვრება, როგორც ფინანსური დანაკარგის რისკი, რომელიც წარმოიშობა ჯგუფის შიდა პროცესების ან სისტემის არაადეკვატურობით ან ნაკლოვანებით, ან გარე მოვლენებით, რომელიც შესაძლოა მოხდეს განზრახ, მოულოდნელად ან ბუნებრივი მოვლენების შედეგად. გარე ფაქტორები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება ისეთი მოვლენებით, როგორიცაა თაღლითობა, წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა, და ა.შ.

საბაზრო მოვლენები როგორცაა დეფოლტი ან ღირებულების ცვლილებები არ მოისაზრება საოპერაციო რისკებში. საოპერაციო რისკში ჯგუფი მოისაზრებს ასევე შესაბამისობის რისკსაც, რომელიც გულისხმობს,

22. ფინანსური და სხვა რისკების მართვა (გაგრძელება)

რომ ჯგუფს შეიძლება დაეკისროს სანქციები ან გაუფუჭდეს რეპუტაცია იმ შემთხვევაში თუ მისი საქმიანობა შესაბამისობაში არ იქნება ადგილობრივ კანონმდებლობასთან.

ჯგუფი საოპერაციო რისკების მართვას ახორციელებს შემდეგი ღონისძიებების საფუძველზე:

- ოპერაციების მონიტორინგი და რეკონსილაცია;
- მოვალეობების ადეკვატური გადანაწილება, მათ შორის ტრანზაქციების ავტორიზაცია მიუკერძოებელი პირების მიერ;
- საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობის მონიტორინგი;
- კონტროლებისა და პროცედურების დოკუმენტირება შიდა ინსტრუქციების სახით;
- საოპერაციო რისკების პერიოდული შეფასება და მათ გასაწესებლად საჭირო კონტროლების და პროცედურების ადეკვატურობის ანალიზი.

23. პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავები - 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს არ გააჩნია სასამართლო დავები, სადაც წარმოადგენს მოპასუხეს. შესაბამისად არ არის მოლოდინი მატერიალური დანაკარგის წარმოქმნის და სასამართლო დავებთან დაკავშირებით ანარიცხი არ არის წარდგენილი კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში

საგადასახადო კანონმდებლობა - საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, მენეჯმენტის საგადასახადო ინტერპრეტაციები შესაძლოა განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციისაგან, ჯგუფის ოპერაციები შესაძლოა გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და ჯგუფის დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. ჯგუფის მენეჯმენტს მიაჩნია, რომ მისი საგადასახადო მიდგომა არის კანონმდებლობის შესაბამისი. შესაბამისად, პოტენციურ საგადასახადო ვალდებულებებთან დაკავშირებით ანარიცხი არ წარადგინა ფინანსურ ანგარიშგებაში.

საოპერაციო გარემო - საქართველოს ბაზარზე პოზიციონირება წარმოშობს დამატებით ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და საკანონმდებლო რისკებს უფრო განვითარებულ ბაზართან შედარებით. კანონები და რეგულაციები, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები ზეგავლენას ახდენენ საქართველოში ბიზნესის განვითარებაზე. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ კურსზე ზემოქმედებას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოსთან ერთად.

შპს „ჯიარჯი“

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

24. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებულ მხარეებთან 2023 და 2022 წლების განმავლობაში განხორციელებული ბრუნვა და 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის ნაშთები იხილეთ ქვემოთ.

უმაღლესი ხელმძღვანელობის ანაზღაურება	ურთიერთობის ტიპი	2023	2022
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა მოკლევადიანი სარგებელი		319,643	262,793
ამონაგები	ურთიერთობის ტიპი	2023	2022
შპს ჯორჯიან ინდასტრი	დაკავშირებული მხარე	-	6,794
რეალიზაციის თვითღირებულება	ურთიერთობის ტიპი	2023	2022
შპს ჯორჯიან ინდასტრი	დაკავშირებული მხარე	-	76,780
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	ურთიერთობის ტიპი	2023	2022
შპს ჯორჯიან ინდასტრი	დაკავშირებული მხარე	-	6,822
ფინანსური ხარჯი	ურთიერთობის ტიპი	2023	2022
შპს პაუერ ენდ ბიუთი	დაკავშირებული მხარე	15,948	10,000
არასაოპერაციო შემოსავალი	ურთიერთობის ტიპი	2023	2022
შპს ჯორჯიან ინდასტრი	დაკავშირებული მხარე	-	169
		31	31
		დეკემბერი	დეკემბერი
		2023	2022
სავაჭრო და სხვა ვალდებულება	ურთიერთობის ტიპი		
შპს „პაუერ ენდ ბიუთი“	დაკავშირებული მხარე	63,799	63,799
შპს „ჯორჯიან ინდასტრი“	დაკავშირებული მხარე	7,371	931,037
შპს პიჩფორკ ტრედიინგი	დაკავშირებული მხარე	103,412	103,412

25. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ეს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 27 სექტემბერი.

საანგარიშგებო თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენები, რომელიც საჭიროებს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვას და გამჟღავნებას არის შემდეგი:

ჯგუფმა საანგარიშგებო თარიღიდან ანგარიშგების გამოცემამდე პერიოდში დამფუძნებელზე გასცა 1,729,533 ლარის დივიდენდი.



2023

შპს „ჯიარჯი“

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შინაარსი

ჯგუფი და მისი საქმიანობა.....	39
ჯგუფის ფინანსური მდგომარეობა და ფინანსური მაჩვენებლები.....	39
საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკი	40
სავალუტო და საბაზრო რისკი	41
სამომავლო გეგმები	42
სხვა ოპერაციები.....	42

ჯგუფი და მისი საქმიანობა

შპს „ჯიარჯი“ (შემდგომში „კომპანია“) წარმოადგენს მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრულ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას. კომპანიის რეგისტრაციის თარიღია 2013 წლის 19 მარტს. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელს წარმოადგენს ფიზიკური პირი ვლადიმერ ჭედიძე. კომპანია ფლობს შვილობილ კომპანიებს (შემდგომში ერთად მოხსენიებული, როგორც „ჯგუფი“)

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფში შედგება 2 შვილობილი კომპანიისგან: შპს ინერტული მასალები (405368178) და შპს ჯიარჯი დეველოპმენტი (400354344). შპს ინერტული მასალები დაარსების თარიღია 2019 წლის 6 დეკემბერი, ხოლო შპს ჯიარჯი დეველოპმენტის 2023 წლის 16 მარტი (რეგისტრაციის ქვეყანა: საქართველო). ორივე კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელი არის შპს ჯიარჯი. შვილობილი კომპანიის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს სხვადასხვა ინერტული მასალების წარმოება. შვილობილი კომპანიის საქმიანობა ხორციელდება საქართველოში. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფში ასევე შედგება შპს ინერტული მასალების შვილობილი კომპანია - შპს ჯეორჯიან როუდ მათერიალსი-სგან (405545147), რომლის დაარსების თარიღია 2022 წლის 30 ივნისი (რეგისტრაციის ქვეყანა: საქართველო).

შპს ჯიარჯი ჯგუფის ძირითად სამიანობას წარმოადგენს: ასფალტბეტონის წარმოება-რეალიზაცია; გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები. ჯგუფი საქმიანობას ახორციელებს საქართველოს მასშტაბით.

ჯგუფის აღმასრულებელ ორგანოს წარმოადგენს პარტნიორთა საერთო კრება, რომელიც წელიწადში მინიმუმ ერთხელ იკრიბება საერთო გადაწყვეტილების მისაღებად.

ჯგუფის მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ირაკლი აბაშიძის 70, სადაც არის განთავსებული სათაო ოფისი.

ჯგუფს ასევე აქვს საწარმოო ბაზები, რომელიც მდებარეობს შემდეგ ლოკაციებზე: სოფელ ნორიოში, დაბა კობში და ქალაქ ფოთში, სადაც განთავსებულია ჯგუფის ძირითადი მატერიალური-ტექნიკური ბაზები.

პროექტების შესაბამისად, ჯგუფს ასევე აქვს მობილური ოფისების სამშენებლო ობიექტების მდებარეობის შესაბამისად, სადაც დასაქმებულები არიან პროექტის მართვისთვის საჭირო თანამშრომლები.

ჯგუფის ფინანსური მდგომარეობა და ფინანსური მაჩვენებლები

ჯგუფს გააჩნია მდგრადი ფინანსური მდგომარეობა. მტკიცე საგადამხდელო დისციპლინა. ფინანსური მდგომარეობა დაკავშირებულია სხვადასხვა მაჩვენებლებთან: საიმედო მონაცემებთან, რომელიც მნიშვნელოვანია მოხმარებისთვის და სარგებლიანი ინფორმაციისთვის, გადაწყვეტილებების მიღებასა და შედეგისათვის. ინფორმაცია ჯგუფს ყოველთვის აქვს სრული, დროული, ზუსტი, გასაგები და მნიშვნელოვანი, საიმედო და უტყუარი. ჯგუფის წინდახედული და სამართლიანი მიდგომებისა და შეფასებების ჩამოყალიბებით, ასევე ფინანსური რესურსების მიზნობრივი და ეფექტური გამოყენება ჯგუფის მდგრადობის ხელშეწყობია. აღნიშნული ვლინდება სექტორის სხვა კომპანიებთან ურთიერთობის, მაკონტროლებელი ორგანოებისა და აუდიტის ანალიზის შედარებაზე დაყრდნობით.

ჯგუფი მომგებიანი იყო 2023 წელს. მოგებამ 2023 წელს შეადგინა 5,346,408 ლარი. კომპანიის მთლიანი აქტივების ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის 19,705,383 ლარი.

საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკი

ჯგუფს თავისი ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში გააჩნდა და გააჩნია საკრედიტო რისკი. ეს არის ჯგუფის ფინანსური დანაკარგის რისკი, როდესაც მომხმარებელი (ფინანსური ინსტრუმენტის ხელშემკვერელი მხარე) არ შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს კუთვნილი თანხის ანაზღაურებასთან დაკავშირებით. საკრედიტო რისკი ჯგუფს ძირითადად წარმოეშვა მიმდინარე სავაჭრო მოთხოვნებიდან.

ჯგუფს გააჩნია საკრედიტო პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც ხორციელდება თოთოეული მომხმარებლის გადახდისუნარიანობის ანალიზი, რომელიც მოიცავს ინფორმაციის შემოწმებას გარე რესურსებიდან, მათი ხელმისაწვდომობის შემთხვევაში. საწარმოებისათვის მოთხოვნების მაქსიმალური ლიმიტის დადგენა მათთან წარსული ურთიერთობის, გამოცდილების საფუძველზე. ასევე, ჯგუფი მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე მიმართავს ღონისძიებებს საკრედიტო რისკების მაქსიმალურად შესამცირებლად, რაშიც იგულისხმება:

- ფინანსური ვალდებულების დროულად შეუსრულებლობის შემთხვევაში პირგასამტეხლოს დარიცხვა.
- სასამართლოში სარჩელის შეტანა თანხის იძულებით გადახდევინებაზე.

ლიკვიდურობის მართვის მიმართ ჯგუფის მიდგომა არის, რამდენად შესაძლებელია გადამოწმება იმისა, რომ ვალდებულებების გაჩენისას ყოველთვის ჰქონდეს დავალიანების დაფარვისათვის საჭირო შესაბამისი აქტივები.

ფულადი სახსრები მთლიანად განთავსებულია მიმდინარე ანგარიშზე, რომელიც ამყარებს ჯგუფის ლიკვიდურობას.

ჯგუფის ლიკვიდურობის მაჩვენებლები წლების მიხედვით შემდეგია:

ჯგუფის ფინანსური აქტივების ვადიანობის ანალიზი 2023 წლის 31 დეკემბერი:

ფინანსური აქტივები	1 წლამდე	1-5 წლამდე	სულ
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5,024,211	-	5,024,211
ფული და ფულის ეკვივალენტები	720,481	-	720,481
სულ ფინანსური აქტივები	5,744,692	-	5,744,692
ფინანსური ვალდებულება			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	5,610,387	-	5,610,387
მიღებული სესხები	4,546,552	828,331	5,374,883
საიჯარო ვალდებულებები	-	-	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	10,156,939	828,331	10,985,270
წმინდა ლიკვიდობა	(4,412,247)	(828,331)	(5,240,578)

ჯგუფის ფინანსური აქტივების ვადიანობის ანალიზი 2022 წლის 31 დეკემბერი:

ფინანსური აქტივები	1 წლამდე	1-5 წლამდე	სულ
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,935,230	-	2,935,230
ფული და ფულის ეკვივალენტები	2,519,738	-	2,519,738
სულ ფინანსური აქტივები	5,454,968	-	5,454,968
ფინანსური ვალდებულება			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,816,388		3,816,388
მიღებული სესხები	2,003,588	288,118	2,291,706
საიჯარო ვალდებულებები			-
სულ ფინანსური ვალდებულებები	5,819,976	288,118	6,108,094
წმინდა ლიკვიდობა	(365,008)	(288,118)	(653,126)

სავალუტო და საბაზრო რისკი

სავალუტო რისკი წარმოადგენს რისკს იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება ან მომავალი ფულადი ნაკადები შეიცვლება უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო. ჯგუფის დამოკიდებულება უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების მიმართ ძირითადად უკავშირდება უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ ფინანსურ ვალდებულებებს.

ჯგუფი არ ახდენს სავალუტო რისკზე მისი დამოკიდებულების შეჯიბრებას.

საპროცენტო განაკვეთთან დაკავშირებით მომხდარი ცვლილებები ძირითადად აისახება სესხებსა და კრედიტებზე მათი სამართლიანი ღირებულების (ფიქსირებულგანაკვეთიანი დავალიანება) ან მათი სამომავლო ფულადი ნაკადების (ცვლადგანაკვეთიანი დავალიანება) ცვლილებით. ხელმძღვანელობას არ გააჩნია ფორმალური პოლიტიკა იმისა, რომ განსაზღვროს თუ რა სახის უნდა იყოს ჯგუფის დამოკიდებულება ფიქსირებული ან ცვლადი განაკვეთების მიმართ. თუმცა ახალი სესხის ან ახალი კრედიტის აღებისას, ხელმძღვანელობა გადაწყვეტს ფიქსირებული განაკვეთი უფრო ხელსაყრელი იქნება ჯგუფისთვის, თუ ცვალებადი განაკვეთი მოსალოდნელი დროის განმავლობაში, დაფარვის ვადამდე.

2023 წლის 31 დეკემბერი	ფინანსური აქტივები	ფინანსური ვალდებულებები	წმინდა პოზიცია
დოლარი	676,410	(5,233,628)	(4,557,218)
	676,410	(5,233,628)	(4,557,218)

2022 წლის 31 დეკემბერი	ფინანსური აქტივები	ფინანსური ვალდებულებები	წმინდა პოზიცია
დოლარი	275,458	(501,274)	(225,816)
	275,458	(501,274)	(225,816)

სამომავლო გეგმები

მენეჯმენტი გეგმავს ჯგუფის განვითარებას გეოგრაფიული პრინციპით, რაც გამოხატული იქნება სხვადასხვა ახალი რეგიონების ათვისებით და საწარმოო ბაზების განთავსებით. ასევე ახალი ტექნოლოგიის დანერგვა რჩება მენეჯმენტის პრიორიტეტად, რადგან უფრო კონკურენტუნარიანი გახდეს ჯგუფი საქართველოს ბაზარზე.

სხვა ოპერაციები

- ✓ ჯგუფს აქვს აღებული სესხები, კრედიტები და სხვა ანალოგიური სახის ვალდებულებები საფინანსო ინსტიტუტებიდან. აღნიშნულ სესხებზე ჯგუფს აქვს როგორც ფინანსური ისე არა-ფინანსური შეზღუდვები.
- ✓ ჯგუფს აქვს გაცემული გარანტიები, რომელიც შესაბამისად ასახულია.
- ✓ მნიშვნელოვანია, რომ ჯგუფის აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება არსებითად არ განსხვავდება მათი საბალანსო ღირებულებისაგან.

თარიღი 27 სექტემბერი 2024

ხელმოწერი პირები:

დირექტორი - გურამ დაფქვიაშვილი

მთ. ბუღალტერი - იდა ტატანაშვილი

სამომავლო გეგმები

მენეჯმენტი გეგმავს ჯგუფის განვითარებას გეოგრაფიული პრინციპით, რაც გამოხატული იქნება სხვადასხვა ახალი რეგიონების ათვისებით და საწარმოო ბაზების განთავსებით. ასევე ახალი ტექნოლოგიის დანერგვა რჩება მენეჯმენტის პრიორიტეტად, რადგან უფრო კონკურენტუნარიანი გახდეს ჯგუფი საქართველოს ბაზარზე.


სხვა ოპერაციები

- ✓ ჯგუფს აქვს აღებული სესხები, კრედიტები და სხვა ანალოგიური სახის ვალდებულებები საფინანსო ინსტიტუტებიდან. აღნიშნულ სესხებზე ჯგუფს აქვს როგორც ფინანსური ისე არა-ფინანსური შეზღუდვები.
- ✓ ჯგუფს აქვს გაცემული გარანტიები, რომელიც შესაბამისად ასახულია.
- ✓ მნიშვნელოვანია, რომ ჯგუფის აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება არსებითად არ განსხვავდება მათი საბალანსო ღირებულებებისაგან.

თარიღი 27 სექტემბერი 2024

ხელმოწერილი პირები:


დირექტორი - გურამ დაფქვიაშვილი


მთ. ბუღალტერი - იდა ტატანაშვილი